



სამუშაო შეხვედრა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების  
წარმომადგენლებთან  
2015 წლის 2 მაისი

**სესია**

**შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები**

**მოდერატორი :** მაკა დვალიშვილი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი  
**ასისტენტი :** თამარ კიკნაძე

**მონაწილეები :**  
ცხინვალის თეატრის წარმომადგენლები  
თამარ ხიზანიშვილი, რეჟისორი  
დალი დოჯაშვილი, მსახიობი

**კულტურული ინდუსტრიების არსის გაცნობა, ცნების განსაზღვრა**

**ძირითადი პრობლემა :** საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა ზოგადად კულტურული ინდუსტრიების შესახებ და ასევე, მათი სოციალური და ეკონომიკური პოტენციალის შესახებ.

**ბიზნესზე ორიენტირებული დარგები:**

ტრადიციულად ძლიერი იყო: თოლკლორი, რენვა (ხეზე ჭრა), თეატრი, საესტრადო მუსიკა.  
არსებობდა კარგი რესურსი კულტურული ტურიზმისათვის

პერსპექტიული : სამოდერლო სტუდია, რენვა

## დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები:

1. კულტურა არ არის პრიორიტეტი
2. დაბალია კულტურული ინდუსტრიების ცნობადობა საზოგადოებაში
3. გართულებულია კონტაქტი მთავრობასა და სახელოვნებო მოღვაწეთა შორის, განსაკუთრებით დევნილებში
4. არსებობს საკანონმდებლო პრობლემები, გამოწვეული სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის სტატუსის და უფლებამოსილების გაურკვევლობით
5. ნაკლები ინფორმირებულობა საერთაშორისო კონვენციების შესახებ
6. დევნილი კულტურული ორგანიზაციებისთვის ინფრასტრუქტურის არარსებობა
7. სახელოვნებო პროფესიული განათლების პრობლემა და მენეჯმენტის საკითხების ინტეგრირება
8. კულტურის სფეროს მოღვაწეთა თავშეყრის ადგილის არარსებობა
9. კულტურის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების სიმცირე
10. თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომის ნაკლებობა
11. საინფორმაციო ბაზა (ადრე ხდებოდა აღნუსხვა და ახლაც არსებობს, მაგრამ განახლებას მოითხოვს)

## გასატარებელი ღონისძიებები

საჭიროა, სახელმწიფომ შექმნას ხელსაყრელი გარემო კულტურული ინდუსტრიების განვითარებისათვის.

1. განხორციელდეს ინვესტიციები კულტურის ინდუსტრიებში სახელმწიფოს მხრიდან
2. ბაზრის შექმნა და განვითარება; ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის ხელშეწყობა

3. მცირე ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს კულტურის დაწესებულებებს აწარმოოს ეკონომიკურად შემოსავლიანი საქმიანობა (განსაკუთრებით თბილისში მცხოვრები დევნილებისთვის)
4. კულტურის ჩართვა ოსეთთან დიალოგში, ერთობლივი პროექტების განვითარება მესამე სახელმწიფოების გამოყენებით
5. ოსური ენის განვითარება, ქართული ლიტერატურის თარგმნა ოსურ ენაზე
6. ოსი და ქართველი ხელოვანების პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება.